

გეოგრაფიული თავისებურებების ზეგავლენა ცოცხალი ორგანიზმების ადაპტაციასა და ევოლუციაზე

ჰოვანეს კოჩარიანი

ელ-ფოსტა: hovanes.kocharian211@ens.tsu.edu.ge

საქართველოს გეოგრაფიისა და ლანდშაფტური
დაგეგმარების კათედრა

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: ი.ჭავჭავაძის გამზირი 1

საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ერთ ერთი ქვედარგი ბიოგეოგრაფია სწავლობს ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობისა და გავრცელების თავისებურებებს. ბიოგეოგრაფია გვეხმარება გავიგოთ ბიომრავალფეროვნების კანონზომიერებანი, გავანალიზოთ გარემოს ცვლილებებით განპირობებული სახეობების ცვლილებები თუ პროგნოზირება მოვახდინოთ რა ცვლილებები მოხდება სახეობებში გარემოს შესაძლო ცვლილებებთან ერთად, ამ თვალსაზრისით ბიოგეოგრაფიას უმნიშვნელოვანესი წვლილის შეტანა შეუძლია ეკოსისტემების მართვაში.

გეოგრაფიული არეალი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ცოცხალი ორგანიზმების ადაპტაციასა და ევოლუციაზე.

პრეზენტაციის მიზანია, წარმოდგენილი იქნას თუ როგორ ზემოქმედებს გეოგრაფიული ფაქტორები — როგორცაა კლიმატური პირობები, ლანდშაფტური თავისებურებანი — ცოცხალი ორგანიზმების გადარჩენის, ევოლუციისა და გავრცელების პროცესებზე.

განხილულია ბიოლოგიური და გეოგრაფიული პროცესების ურთიერთდამოკიდებულება არა მხოლოდ ბუნებრივი გარემოს გათვალისწინებით, არამედ სოციალური პროცესების კონტექსტშიც. ნაჩვენებია, თუ როგორ უწყობს ხელს გეოგრაფია ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას, ეკოსისტემების ჩამოყალიბებას და ადამიანის საქმიანობას. ამგვარად, გაანალიზებულია ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ურთიერთქმედების სიღრმე და მნიშვნელობა, რაც საინტერესოა ინტერდისციპლინური კვლევითი მიდგომების თვალსაზრისით.

პრეზენტაცია ეფუძნება მაგალითებსა და ვიზუალურ მასალას.

ლიტერატურა

1. Geography's Crucial Role in Climate Change
(<https://www.ierek.com/news/geography-in-climate-in-mitigation/>)
2. The Role of Geography in Human Adaptation
(<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2685456/>)
3. Evolution in the Galapagos
(<https://www.greenottravel.com/blog/evolution-in-the-galapagos/>)
(<https://galapagosconservation.org.uk/about-galapagos/islands/daphne-major/>)
4. SPECIATION AND THE EVOLUTION OF DARWIN'S FINCHES B. Rosemary Grant & Peter R. Grant
(https://islandlab.uac.pt/fotos/publicacoes/publicacoes_Grant2011_SpeciacionEvolutionDarwin%20sFinches.pdf)